



**სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება № 01-06-02/62**

ქ. თბილისი

31 ივლისი 2018

**სტუ-ის ბიოტექნოლოგიის ცენტრში კონკურსის
გამოცხადების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 25 ივლისის №01-05-04/198 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2018 წლის 31 ივლისის №01-06-02/12 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) გამოკითხვის წესით დაადგინა:

1. გამოცხადდეს აკადემიური კონკურსი სტუ-ის ბიოტექნოლოგიის ცენტრში უფროსი მეცნიერი თანამშრომლის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად;
2. დამტკიცდეს დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები და საკონკურსო პირობები წარმოდგენილი სახით;
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)

სპიკერი, პროფესორი

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
სტუ-ის ბიოტექნოლოგიის ცენტრი
თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6

ჯემალ გაბოკიძე